ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N52/გ

ქ. მცხეთა 29 მაისი 2015 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ „იგორ ცოფურაშვილის“ სახით, შემდგომში „მომწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. საკანცელარიო ჟურნალების და ბლანკების ბეჭდვა. (CPV79800000)

2. მომსახურების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების ვადაა 2015 წლის 15 ივნისის ჩათვლით.
2.1 მომსახურების ღირებულებაა 2600 (ორი ათას ექვსასი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
3.2 ავანსის შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მოთხოვნილი თანხის (ავანსი) ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია.
3.3 მოთხოვნილი თანხა (ავანსი) არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 30%-ს.
3.4 ბანკის მიერ გაცემული ავანსის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ ერთი თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას:
4.1.1 შეასრულოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში;
4.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის შემდეგ.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 მომსახურების არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8 ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 თუ „მომწოდებელი” და „შემსყიდველი” მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საქმის წარმოების და საინფორმაციო განყოფილების უფროსი სოფიკო იოსებიძე და სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი ოთარ პაპავაძე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2015 წლის 29 აგვისტოს ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი“

ი/მ „იგორ ცოფურაშვილის“
ს/კ: 01030042727
ბანკი: სს „თიბისი ბანკი"

ბ/კ **TBCBGE22**
ა/ა **GE55TB7673636010100003**
ტელ: 558 90 89 83
მის: ქ. თბილისი, ბაქოს ქ.N13

ი/მ „იგორ ცოფურაშვილის“

ი. ცოფურაშვილი

„შემსყიდველი“

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ს/კოდი: 236098824
ბანკი „ სახელმწიფო ხაზინა“
ბ/კ TRESGE22

ა/ა GE24NB0330100200165022

მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7

მუნიციპალიტეტის გამგებელი

ზ. აბესაძე